თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7428134

ნომერი: AR11083081

თარიღი : 19.03.2025

გაცემის თარიღი : 27.03.2025

გაცნობის თარიღი : 27.03.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლიახვი , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიკა ალხაზიშვილი პ/ნ 59001123434
- გორი ცხინვალის გზატ. N 47 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 19 მარტის №AR11083081 განცხადებით მომართა ლიკა ალხაზიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 22 იანვრის №7352963 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება კონსტრუქციული პროექტის ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 22 იანვრის №7352963 ბრძანებით N01.12.07.017.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა დამხმარე ტექნიკური შენობა და ავტოფარეხის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2025 წლის 13 მარტის №7407942 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 13 მარტიდან 2027 წლის 13 მარტის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 22 იანვრის №7352963 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და შეთანხმებული კონსტრუქციული პროექტის წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი, შეცვლილი კონსტრუქციული პროექტით ჩანაცვლებას.

განგიმარტავთ, რომ შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტში ცვლილების შეტანა არ წარმოადგენს არ წარმოადგენს „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“-ს ნომენკლატურით ცვლილების შეტანის საფუძველს. აღნიშნულისთვის საჭიროა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანა (კორექტირება).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.